განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

# სასურსათო ტექნოლოგია
# მაგისტრატურა
# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2018 წლის 6 – 7 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სასურსათო ტექნოლოგია |
| განათლებისსაფეხური | მაგისტრატურა |
| | |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტებისრაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მურად გარუჩავა. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მანანა კევლიშვილი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატალია ცქიტიშვილი.დამსაქმებელი ექსპერტი. შპს „ადინა“,სასათბურემეურნეობა.საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატალია ჯინჭარაძე. სტუდენტი ექსპერტი. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სასურსათო პრობლემა ქვეყნის უმნიშვნელოვანესისოციალურ-ეკონომიკურიამოცანაა. მასშიმოიაზრებაქვეყნისუნარი (საშუალება) უზრუნველყოსსაკუთარიმოსახლეობაძირითადი სასურსათო პროდუქტებით, ადგილობრივირესურსებისწარმოებისხარჯზე. პრობლემისაქტუალობასაძლიერებსეროვნულისასურსათობაზრისდღევანდელიმდგომარეობადაექსპორტ-იმპორტისბალანსისმნიშვნელოვანიდეფიციტი, რომელიცძირითადადსურსათისიმპორტითაგანპირობებული.ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება წარმოდგენილი „სასურსთო ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგამა.სამაგისტრო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგიის“სწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს თანამედროვე ტექნოლოგიების სრულყოფილ ცოდნას.შეისწავლისსასურსათოპროდუქტებისწარმოებისტექნოლოგიურსქემებს, საწარმოოხერხებსდამეთოდებს, წარმოებისასმიმდინარეფიზიკო–ქიმიურიპროცესებს, შესაბამისმანქანა–დანადგარებს. შეისწავლისახალირესურსისგამოვლენისკრიტერიუმებს,მეთოდებსდაშეძლებსმათზაზეახალისახის პროდუქციისშექმნას. შეეძლებადარგისპრობლემებისგადაჭრისგზებისძიებადასამეცნიეროსამუშაოებშიმონაწილეობა.ადექვატური იქნება მსოფლიოს წამყვანი ტექნოლოგიური პროცესების გააზრებასა და მართვაში. პროგრამა დამტკიცებულია 2012 წელს. პროგრამა ხორციელდებოდა სატრანსპორტო ფაკულტეტზე. 2014 წლიდან შეიქმნა აგრარული ტექნოლოგიების და ბიოსისტემებისინჟინერინგის ფაკულტეტი და პროგრამა გრძელდება ამ ფაკულტეტზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა.**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 6-7სექტემბერს.ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პედაგოგებს,დამსაქმებლებს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. განხილულ იქნა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. შემუშავდა რეკომენდაციები,რჩევები. აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკა

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა.**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“ მთლიანობაში იმსახურებს მოწონებას. იგი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს გაგვიჩნდა გარკვეული მოსაზებები,რაც ასახულია თანდართულ რჩევებსა და რეკომენდაციებში.

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსები გამოიყოს სტატუსისა და კრედიტების მიხედვით.
- დაზუსტდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლება სემესტრის მიხედვით, შესაბამისი პრერეკვიზიტის გათვალისწინებით. კერძოდ სასწავლო კურსი „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“ ისწავლებოდეს პირველ სემესტრში,პრერეკვიზიტის გარეშე, ხოლო „სურსათის უვნებლობა“ კი მეორე სემესტრში და მისი პრერეკვიზიტი იყოს „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“.
- სასწავლო კურსის სილაბუსში "სასურსათო წარმოების ბიოქიმია“ ძირითადი ლიტერატურა. ბოლქვაძე-ბიოქიმია,1999წ. შეიცვალოს გახოკიძე,ტაბატაძე.კვების პროდუქტების ქიმიით,2016.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა და სწავლის გაგრძელება სურს წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაზე, გააჩნდეს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი.
- სასურველია პროგრამაში და სილაბუსებში მითითებული იყოს შუალედური და განმეორებითი ფინალური გამოცდის ჩატარების დრო.
- სასურველია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული იყოს საკონსულტაციო დღეები, შესაბამისი საათების მითითებით.
- სასურველია აკადემიური, სამცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ამ პირთა მივლინებები შესაბამისი პროფილის უცხოურ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების სახით ან სასწავლო კურსების წასაკითხად.
- სასურველია პროგრამის შეფასება ამავე ან მონათესავე დარგის შესაბამის პაქტიკოს სპეციალისტის მიერ, რომელიც მონაწილეობას არ ღებულობს მოწოდებული პროგრამის განხორციელებაში. მიგვაჩნია რომ ასეთი დასკვნა უფრო შეუწყობს ხელს პროგრამით დასახული პრაქტიკული უნარების განვითარებას.

## საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სპეციალიზაციების ერთობლიობა შესაბამისი სასწავლო კურსებით.
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი.
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით საწარმოს წარმომადგენლების,ასევე პოტენციური დამსაქმებლების მოწვევა სალექციო კურსის წასაკითხად, რომლის დროსაც საუკეთესოდ არის შერწმული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი.
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალური რესურსები
- პროგრამაში ბიზნეს კომუნიკაციის უცხო ენის შეტანა.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br>ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სასურსათო ტექნოლოგიის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამებაუნივერსიტეტი მისიას.<br><br>,,სასურსათო ტექნოლოგიის'' სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ სასურსათო ტექნოლოგიის ყველა დარგის წარმოების თანამედროვეტექნოლოგიური სქემები; ეცოდინებათ წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის დახასიათება; შეუძლიათ ნორმატიული სამართლებრივი დოკუმენტებისგამოყენება,რისკებისა და უვნებლობის შეფასება.საკვები პროდუქტების სერტიფიცირება და იდენტიფიცირება.სასურსათო პროდუქტების ფიზიკურ–ქიმიური ანალიზის მეთოდები.კურსდამთავრებულები მიიღებენ ფართო სპეციალიზაციას და შეეძლებათ სურსათის საწარმოებში მუშობა, საწარმოში არსებული ტექნოლოგიური რეგლამენტის მიხედვით.<br>პროგრამა შესაბამისობაშია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემებისინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებაში აღწერილ სტატუსთან, მიზნებთან, ამოცანებთან დასაქმების ძირითადმიმართულებებთან. ფაკულტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგია, 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში იგეგმება სასურსათო ტექნოლოგიების სფეროში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა.<br>პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. პროგრამის შეთავაზების მიზეზია სურსათის პროდუქტების წარმოების სფეროს განვითარების თანამედროვე გამოწვევები, საქართვთელოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, მეწარმეთაგან მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები-მაგისტრები.მათთან შეთანხმებული იქნა კურსდამთავრებულთა საქმიანობის საზღვრები და ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ „საჯაროსამართლისიურიდიულიპირის – საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისწესდებისდამტკიცებისშესახებ" საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2017წლის22დეკემბრის №199/ნბრძანება;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაhttp://gtu.ge/AboutStu/Mission.php ;<br>➢ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემებისინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება;<br>➢ დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;<br>➢ პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა; |

- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემებისინჟინერინგისფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული ნაწილის, კომუნიკაციური,ანალიტიკურიდაა.შ.უნარებისგანვითარებას, ამასთან შესაძლებელია სწავლა გააგრძელოს შემდეგსაფეხურზე. სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები ასევე უზრუნველყოფს სასურსათო ტექნოლოგიის ცალკეული ქვედარგების კვების პროდუქტების გადამუშავებისა და დაკონსერვების ტექნოლოგიის,სასმელების(უალკოჰოლო

და ალკოჰოლიანი) და სხვათა შესწავლას, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს პროფესიული ინტერესების გაფართოება და შემდგომ, შრომის ბარზარზე ადეკვატური ადგილის დაკავება.

სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო:დამსაქმებლები, აკადემიური/სასწავლო პერსონალი და სტუდენტები. მათი მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება. პროგრამის შედგენისას ნაწილობრივ ჩართული იყო აკადემიური პერსონალი. კერძოდ, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, პროგრამის ხელმძღვანელმა განსაზღვრა პროგრამის ჩარჩო და სასწავლო გეგმა, ხოლო შემდგომ თითოეული საგნის პედაგოგი მოერგო ჩარჩოს მოთხოვნებს და განსაზღვრეს მათი საგნისთვის საჭირო საათები და კრედიტები. პროგრამის განხილვაში მონაწილეობას იღებდა აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

პროგრამის ძირითადი დამსაქმებლების ჩართულობა, ძირითადად სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკას შეეხებოდა.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავენ პროგრამის მიზნებს და ძირითადად მოიცავს ცოდნას და შესაბამისი კომპეტენციებით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი" და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერის სათანადო დონეს.

აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა კურიკულუმის რუკა,რომელშიც გაწერილი იყო თუ პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე გადიოდა ესა თუ ის სასწავლო კურსი. კურიკულუმის რუკიდან ჩანდა რომ სასწავლო კურსების უმეტესობა პრაქტიკული უნარების განვითარებისაკენ არის მიმართული.რუკაში გაწერილი თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურ თანხვედრაშია შესაბამის სწავლის შედეგთნ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები.**

- სამაგისტრო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია"
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ".
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info;
- სტუ-საკადემიურისაბჭოს 2017წლის27 დეკემბრის №2691დადგენილებითდამტკიცებული „სასწავლოპროცესისმართვისინსტრუქცია";
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;

შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

## 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **აღწერა და შეფასება**<br>სტუ-ში ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალე იქნება და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა იქნება უზრუნველყოფილი. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებულ პირთათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეების საშუალებით, საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციებით.<br>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ (01) აგრარული მეცნიერების, (05) მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/study/index.phpგამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. მართალია სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაპროგრამაში კარგად არის აღწერილი, მაგრამ სასურველია, იმ პირთათვისვისთვისაც ქართულიარარისმშობლიურიენადასწავლისგაგრძელებასურსქართულენოვანსამაგისტროპროგრამაზე, გააჩნდეს ქართული ენისცოდნისდამადასტურებელი სერთიფიკატისდამოწმებულიასლი(არსებობისშემთხვევაში). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“;<br>➢ „საჯაროსამართლისიურიდიულიპირის – საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისწესდებისდამტკიცებისშესახებ” საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2017 წლის22 დეკემბრის №199/ნბრძანება;<br>➢ სტუ-საკადემიურისაბჭოს 2017 წლის27 დეკემბრის №2691 დადგენილებითდამტკიცებული „სასწავლოპროცესისმართვისინსტრუქცია“;<br>➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ–ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”;<br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, იმ პირთათვის ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა და სწავლის გაგრძელება სურს ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე, გააჩნდეს ქართული ენის ცოდნი სდამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი(არსებობის შემთხვევაში). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**აღწერა და შეფასება**

პროგრამაშედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტიუდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს; სასწავლო კომპონენტი - 75 კრედიტი; მათ შორის სასპეციალიზაციო საგნები - 45 კრედიტი,

არჩევითი საგნები - 30 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევა/კოლოქვიუმს - 10 კრედიტი,სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

**პირველი წლის პირველ სემესტრში** მაგისტრანტი სწავლობს ხუთ სპეციალობის სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და ერთ 5 კრედიტიან სავალდებულო სასწავლო კურსს, რომელსაც შეისწავლის სასურველ უცხოურ ენაზე. ჯამში - 30 კრედიტი.

**პირველი წლის მეორე სემესტრში** მაგისტრანტი სწავლობს სამ 5 კრედიტიან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსს, ერთ 5 კრედიტიან სავალდებულო სასწავლო კურსს, რომელსაც შეისწავლის სასურველ უცხოურ ენაზე და ერთ 5 კრედიტიან სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსს, რომელსაც ირჩევს 4 სასწავლო კურსიდან. ასევეაქვსთეორიული/ექსპერიმენტულიკვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიცმოიცავს5 კრედიტს. ჯამში - 30 კრედიტი.

**მეორე წლის პირველ სემესტრში** მაგისტრანტი ირჩევს სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული ოთხი არჩევითი სპეციალობიდან (20 კრედიტი) ერთ-ერთ სპეციალობას, რომელიც მოიცავს ოთხ 5

| |
|---|
| კრედიტიან სასწავლო კურსს. ასევექვსთეორიული/ექსპერიმენტულიკვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიცმოიცავს 10კრედიტს. ჯამში - 30 კრედიტი.<br>**მეორე წლის მეორე სემესტრში** მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი. ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ ადგენს დეკანატი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად. მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ: http://gtu.ge/pdf/mag_danarti_3.pdf კვლევითი კომპონენტი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია: • სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსი (5 კრედიტი) • თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი (10 კრედიტი) • სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი). მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც სრულდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და<br>საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა- დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისას საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულით. აუცილებელია მისი საჯარო დაცვა. საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვის აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია 100 ქულიანი შეფასების სისტემით.მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf<br>საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/pdf/DanarTi_4_mag_2017.pdf<br>დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/pdf/DanarTi_4_mag_2017.pdf.<br>არ შეიძლება არ აღინიშნოს სამაგისტრო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგიაში“ კარგად წარმოდგენილი სასურსათო ტექნოლოგიის არჩევითი სპეციალობზების მოდულები ,რომლებიც მოიცავენ სასუსათო ტექნოლოგიის თითქმის ყველა ქვედარგს. ისინი წარმოდგენილია სამი მოდულის სახით და თითოეული სპეციალიზაციისათვის შერჩეულია სათანადო სასწავლო კურსები. ასეთი მიდგომა სასწავლო გეგმისადმი უადვილებს მაგისტრანტს სპეციალიზაციის შერჩევას.<br>სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის გაცნობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოითქვა მოსაზრება,რომსასურველია სასწავლო გეგმას დაემატოს ერთი გრაფა, რომელშიც მითითებული იქნება სასწალოკურსისის სტატუსი და სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსები გამოიყოს სტატუსისა და შესაბამისი კრედიტების მიხედვით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“<br>➢ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი №407 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.<br>➢ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ 2018 წ. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>**1.სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსები გამოიყოს სტატუსისა და კრედიტების მიხედვით.** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სპეციალიზაციების ერთობლიობა შესაბამისი სასწავლო კურსებით.
- პროგრამაში ბიზნეს კომუნიკაციის უცხო ენის შეტანა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები დაგეგმილია იმგვარად, რომ სტუდენტმა შეისწავლოს სურსათის ტექნოლოგია საწყისი ნედლეულიდან საბოლოო პროდუქტამდე. შეძლოს ნედლეულის შეფასება, საწამოო პროცესების დაგეგმვა, სხვადასხვა ტექნოლოგიური სქემების შედგენა, ტექნოლოგიური დანადგარების შერჩევა, საბოლოო პროდუქტის ხარისხზე სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების გავლენის შეფასება.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება მაგისტრატურის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვასწავლა-სწავლებისმეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სასურსათო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი

| |
|---|
| პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას.<br>სასურველია დაზუსტდეს ზოგიერთი სასავლო კურსის სწავლება სემესტრის მიხედვით,შესაბამისიპრერექვიზიტის გათვალისწინებით. მაგ.სასწავლო კურსი „სურსათის უვნებლობა“ სასწავლო გეგმით ისწავლება პირველ სემესტრში. რომელსაც პრერექვიზიტი არ გააჩნია. „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“ კი მეორე სემესტრში და მისი პრერექვიზიტი არის „სასურსათო წარმოების მიკრობიოლოგია“. ეს უკანასკნელი საერთოდ არ ისწავლება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. მიგვაჩნია სასწავლო კურსი„სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“ ისწავლებოდეს პირველ სემესტრში,პრერექვიზიტის გარეშე და „სურსათის უვნებლობა“ კი მეორე სემესტრში და მისი პრერექვიზიტი იყოს „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“.<br><br>რადგანაც სტუდენტი რომელიც გადის „სურსათის უვნებლობის“ სასწავლო კურსს,მას სათანადო ცოდნა უნდა გააჩნდეს „სურსათის მიკრობიოლოგიურ საფრთხეებზე“ და „სასურსათო წარმოების მიკრობიოლოგიაზე“.<br><br>სასწავლო კურსების ასეთი თანმიმდევრობა,შესაბამისი პრერექვიზიტებით აუცილებელია,რადგანაც თითოეული განხილული სასწავლო კურსი გავიდეს შედეგე.<br><br>ასევე არც პროგრამაში და არც სილაბუსებში არ არის მითითებული თუ როდის ტარდება შუალედური გამოცდები. მიგვაჩნია რომ საჭიროა პროგამაში და სილაბუსში მათი მითითება, რომ სტუდენტმა თავიდანვე იცოდეს თუ როდის ტარდება და უკეთ გაერკვეს პროგრამაში. ასევე სასურველია პროგრამაში და სილაბუსებში მიეთითოს ფინალური გამოცდის განმეორებით ჩატარების დრო.<br><br>ექსპერტთა ჯგუფმა ცალკეულ სასწავლო კურსების გადამოწმების დროს საჭიროდ ჩათვალა სასწავლო კურსების სილაბუსებში გადამოწმდეს ძირითადი ლიტერატურა.მაგ. სასწავლო კურსი “სასურსათო წარმოების ბიოქიმია“ ძირითად ლიტერატურად მითებული არის , ბოლქვაძე-ბიოქიმია,1999წ. უმჯობესია აქ მითითებული იყოს : გახოკიძე,ტაბატაძე.კვების პროდუქტების ბიოქიმია 2016. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“;<br>➢ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br><br>ბიბლიოთეკის კატალოგი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>1.დაზუსტდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლება სემესტრის მიხედვით, შესაბამისი პრერექვიზიტის გათვალისწინებით. კერძოდ სასწავლო კურსი „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“ ისწავლებოდეს პირველ სემესტრში,პრერექვიზიტის გარეშე, ხოლო „სურსათის უვნებლობა“ კი მეორე სემესტრში და მისი პრერექვიზიტი იყოს „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“. |

2.სასწავლო კურსის სილაბუსში "სასურსათო წარმოების ბიოქიმია" ძირითადი ლიტერატურა. ბოლქვაძე-ბიოქიმია,1999წ. შეიცვალოს გახოკიძე,ტაბატაძე.კვების პროდუქტების ქიმიით,2016.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

▪

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის მიხედვით პირველი სასწავლო კურსის მეორე სემესტრშიგათვალისწინებულიათეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიც მოცავს 5 კრედიტს. შემდეგ სემესტრში კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 10 კრედიტით, ხოლო ბოლო სემესტრი მთლიანად ეთმობა კვლევას და სამაგისტრო ნაშრომის დასრულებას.შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე სასწავლო კომპონენტების ნაწილი გულისხმობს საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებას, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ელემენტები. მისი შესრულებისას სტუდენტი იყენებს მის მიერ მიღებულ

ცოდნას, ეძებს მასალებს და ლიტერატურას; ახდენს მოპოვებული ინფორმაციის ლოგიკურ სისტემატიზაციას და დამოუკიდებლად გამოაქვს დასკვნები. საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებისას სტუდენტი სწავლობს წყაროების ანალიზს და კვლევის შედეგების სწორად გადმოცემას; უვითარდება პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარი.ამას გარდა პროგრამაში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა, რომლის დროსაც სტუდენტი იმყოფება მოქმედ საწარმოში და უშუალოდ მონაწილეობს საწარმოო პროცესების მართვაში.როგორც სასწავლო პროცესში მყოფი მაგისტრანტებთან,ასევეკურსდამთავრებულ მაგისტრებთან დიალოგის დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მოითხოვენ პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას 30 კრედიტამდე. გამოთქვამენ კმაყოფილებას სამაგისტრო თემების ხელმღვანელი პროფესორების მიმართ.მაგისტრების 90 % დასაქმებულია პროფილის მიხედვით.

სტუ-ში სისტემატიურად ტარდება კონფერენციები, სადაც სტუდენტები გამოდიან მოხსენებით მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

კონფერენციების მასალები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამაში დაწერილი სწავლება-სწავლის მეთოდებიუზრუნველყოფსროგორცპროგრამისკონკრეტულიკომპონენტის, ისემთელიპროგრამისმიზნებისადაშედეგებისმიღწევას.სამაგისტრო საგამანათლებლო პროგრამაში „სასუსათო ტექნოლოგიაში" გადმოცემული ცალკეული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის სწავლების საფეხურს.სილაბუსებშიმოცემულიასწავლის/სწავლებისისკონკრეტულიმეთოდები, რომლებიცშეესაბამებასაგნისსპეციფიკურმიზნებსდამისაღწევშედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია";
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კან

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

ცოდნის შეფასების სისტემა ზოგადად გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გ
იქნება მას შემდეგ, რაც პროფესორი გაეცნობა სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმ
შედეგების შესახებ, რაც აძლევს მას საკუთარი ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების გააზრების შე
შესახებმიიღონ როგორც პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობით, ასევე საგნისპედაგოგის
გვერდზეარსებულსტუდენტთააკადემიურიმოსწრებისმონიტორინგისსისტემაში.
სტუდენტთააკადემიურიმოსწრებისმონიტორინგისელექტრონულისისტემაგამჭვირვალეადაუზრუნველყოფსმიღ
წინასწარი ცოდნა, აგრეთვეინფორმაციაშუალედურიდადასკვნითიშეფასებებისშესახებმასსაშუალებასმისცემ
გამოყოფილია საათები, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად გაიაროს კონსულტა
ინფორმაციაცოდნისშეფასებისშესახებმიიღონსაგანმანათლებლოპროგრამიდანდა სასწავლოკურსე
ლექტორისგან.სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთ
პერსონალი უზრუნველყოფს მათთვის კონსულტაციების გაწევას.

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

(A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“;

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცეს
- 2012 წლის 6 ივლისის№ 732დადგენილებით, დამტკიცებული „შეფასებისფორმებისშესაბამისიმეთოდების, კრ
- ტექნიკურიუნივერსიტეტისვებ-გვერდიwww.leqtori.gtu.ge.
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ა

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის
-

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა | | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | |

## 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| |
|---|
| **3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზ დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი** |
| სტუდენტს აქვს საშუალება თავისი პროფილის და კარიერული განვითარების განსაზღვრის გასაუმჯობესებლ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიუ პერსონალისგან.<br>სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში, ღონისძიებებში, და კონფერენციებში მონაწილეობ შესაძლებლობა.<br>ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილ განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. აქ ექსპერტთა ჯგუფი გამოთვამს მოსაზრებას რომ სასწავლო კურსებ სილაბუსებშიც გაწერილი იყოს სტუდენტებთან კონსულტაციის ღეები და დრო.<br>აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელ ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშიარსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვის რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს და კომუნიკაცია დაამყარ სასწავლო კურსის პედაგოგთან.სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები,სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები, სხვადას ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და სხვ.)ინფორმაცია. უნივერსიტეტ ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენ შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილ მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგ ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმ ჩვენების შესაძლებლობა, გამოკითხვებში მონაწილეობისთვის მიმაგრებული კითხვარები.<br>აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისხელშეკრულებები/სამუშაო აღწერილობებ ითვალისწინებს სტუდენტთაკონსულტაციებს, რომლის პროცესშიც აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურ მუშაობს თითოეულ სტუდენტთან.პერიოდულად ტარდება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც ხე უწყობს სტუდენტს მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული დასაქმების და კარიერული განვითარებ პერსპექტივების შესახებ.<br>მართალია სტუდენტების კონსულტაციების განრიგი განთავსებულია ფაკულტეტის თვალსაჩინო ადგილზე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია,მაგრამ კარგი იქნებოდა თუ თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუ მითითებული იქნებოდა საკონსულტაციო დღეები, შესაბამისი საათების მითითებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“.<br>➢ სასწავლო კურსების პროგრამა (სილაბუსები);<br>➢ სტუ შიაკადემიურიდატვირთვებისგადაანგარიშებისადაგანაწილებისინსტრუქცია(აკადემიურისაბჭოსდადგენილ 28.05.2013. № 936 დადგენილება.).<br><br>პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილ სტანდარტის მოთხოვნები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული იყოს საკონსულტაციო დღეები, შესაბამ
საათების მითითებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნულ
მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაც
შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

| 3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br>აკადემიურ პერსონალს აქვს  შესაბამისი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში  შესრულებული გამოცემული, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით.მაგისტრებს სამაგისტრო თემების შესრულება უწევს მაღალკვალიფიციურხელმძღვანელებთან. სამაგისტრო თემების შერჩევა ხდება წინასწარ მაგისტრებთან შეტანხმებით. მაგისტრებთან დიალოგის დროს მათ გამოთქვეს კმაყოფილება ხელმძღვანელი პროფესორების მიმართ და სურვილი აქვთ შესაძლებლობის ფარგლებში გააგრძელონ მათთან სადოქტორო თემაზე მუშაობა.<br>მაგისტრანტებს  ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. სწავლება ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად,  სასწავლო კურსის სილაბუსებში გათვალისწინებული არის დამოუკიდებელი სამუშაოები, რომლის შესრულების პროცესში აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ მაგისტრთან |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| ➢ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და გამოქვეყნებული შრომების სიები<br>➢ საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისდებულებამაგისტრატურისშესახებაკადემიურისაბჭოს 2012 წლის 26 ივნისისდადგენილება №704<br>http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2017_SD.pdf |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

## 4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **აღწერა  და შეფასება**<br>პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო–პრაქტიკული საქმიანობით;<br>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ვინაიდან ისინი აფილირებულნი არიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ უნივერსიტეტში;<br>აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით: 9/30.<br>აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით: 9/30.<br>აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან: 9/0.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება უნივერსიტეტში ხორციელდება სათანადო კომპეტენციისა დაგამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მეშვეობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;<br>➢ აკადემიურიდამოწვეულიპერსონალისდატვირთვები<br>➢ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**აღწერა და შეფასება**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილ საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, აკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ანალიზს. შესაბამისი დოკუმენტებს გაეცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი.

შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და წახალისების ფორმად დამატებით გამოიყენება საბონუსე სისტემა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა, რომელსაც ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტი. პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობსსაერთაშორისოპროექტებში, კვლევებსადაკონფერენციებში.

ვიზიტის პერიოდში შევხვდით დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.ბევრი მათგანი კითხულობს სასწავლო კურრს აღნიშნულ პროგრამაზე.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;<br>➢ შეფასების შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია აკადემიური,სამცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ამ პირთა მივლინებები შესაბამისი პროფილის უცხოურ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების სახით ან სასწავლო კურსების წასაკითხად. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნითსაწარმოს წარმომადგენლების,ასევე პოტენციური დამსაქმებლების მოწვევა სალექციო კურსის წასაკითხად, რომლის დროსაც საუკეთესოდ არის შერწმული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი.<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| 4.3მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით (სასწავლოლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობადაინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება დარგის აქტუალურ მიღწევებს. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული კატალოგითა და სახელმძღვანელოებით,როგორც ქართულ,ასევე უცხოურ ენაზე. სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, საქართველოსბიბლიოთეკებისგაერთიანებულიკატალოგითდა EBSCO-სბაზებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგიები“;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის ჩატარების ობიექტებთან.
- სტუ- ს ბიბლიოთეკის კატალოგი;
- ბიბლიოთეკის ფონდი: სახელმძღვანელოების საერთო რაოდენობა - 1022420; ელ - ვერსიების რაოდენობა - CD (წიგნები) – 248 (2344 ერთეული), CD (პერიოდიკა) – 222 (3774 სტატია);
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემებისინჟინერინგის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- სასწავლოკურსისპროგრამები (სილაბუსები);

საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალური რესურსები

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფისთვის შემუშავებულია ფინანსური გეგმა უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
ფაკულტეტისმიერშემუშავებულბიუჯეტშიგანისაზღვრებაფინანსებიფაკულტეტზეარსებულიპროგრამებისათვის რომელსაცამტკიცებსწარმომადგენლობითისაბჭო.
ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრება ფინანსებ ფაკულტეტზეარსებულიპროგრამებისათვის, რომელსაცამტკიცებსწარმომადგენლობითისაბჭო. ხელფასი 523835ლარი;ლიტერატურაზე-20000ლარი; კონფერენციებისათვის 50000ლარი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

პროგრამის ბიუჯეტი.
პროგრამაზე ჩარიცხულების რაოდენობა

აგრარულიმეცნიერებისადაბიოსისტემებისინჟინერინგისფაკულტეტისბიუჯეტი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილო სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ა მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციი შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისრესურ სებითუზრუნვე ლყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

## 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **აღწერა და შეფასება**<br>➢ უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს:<br>➢ უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას;<br>➢ უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით.<br>➢ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის |

პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, ეყრდნობა ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში. სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving - PICI).

- შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე, მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე; თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი აქვთ პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები.მაგისტრანტებთნ და მაგისტრებთან ინტერვიუს და მათ მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის შედეგად მოხდა პროგრამით გათვალისწინებული 10 კრედიტიანი თეორიულ-ექსპერიმენტალური კოლოქვიუმის 70% -ის გამოყენება პრაქტიკის კომპონენტად.
  - უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (2011 წლის 6 მაისის №4501 დადგენილება).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანება;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ივნისის №460 დადგენილება "სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინარული კომისიის შექმნის შესახებ";
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების კითხვარები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

### 5.2.გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის განხორციელების პერიოდში რეგულარულადხდება გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამო
პროგრამის შემუშავება/განხორციელებში

მონაწილე პირები განიხილავენ და ასრულებენ აკრედიტაციის (ეროვნული და/ან საერთაშორისო) დროს მი
რეკომენდაციებს.

წინა აკრედიტაციის შემდეგ გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 4 სექტემბრის N272 გადაწყვეტ
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს2012 წლის 28 სექტემბერს N
გადაწყვეტილებასაბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასურსათო ტექნოლოგიები“ აკრედი
მინიჭების თაობაზე;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისსტანდარტებიhttp://eqe.ge/res/docs/N3_7.02.2
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედი
სტანდარტებიhttp://eqe.ge/res/docs/Accreditation_standards.doc

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყო
სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნუ
მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**აღწერა და შეფასება**

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემებისინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა საავრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება, რომელშიც ჩართულები იყვნენ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. შეფასება ხორციელდება როგორც შეხვედრებზე განხილვის ფორმატში, ასევე კითხვარების საშუალებით. პროგრამის შეფასებისთვის დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაკეთდა ანალიზი და განისაზღვრა მისი ძირითადი ნაკლოვანებები და გასაუმჯობესებელი საკითხები, რომელიც აისახა რეკომენდაციაში.

საავრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრა მოდიფიცირების გზით მისი განახლების საჭიროება.

მოდიფიცირების გზით პროგრამის გაუმჯობესებისთვის და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნითმომზადებული ანალიზის დოკუმენტში განმახორციელებელი სასწავლო დეპარტამენტის მიერ მომზადებული იქნა უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიური მიმართულების პროგრამებთან შედარების ანალიზიც.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემებისინჟინერინგის ფაკულტეტზე შექმნილია უნივერსიტეტის საფაკულტეტო კომისია, რომელიც დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე. საფაკულტეტო კომისია დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის წარმომადგენლებისგან. მათი მოვალეობაა სწავლა–სწავლების ხარისხის შეფასება, როლის შედეგად სამსახურის ხელმძღვანელი წერს დასკვნას და წარუდგენს სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის და ასევე, შეფასების შედეგებს აცნობს ფაკულტეტის საბჭოს.

გარდა ამისა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლოდასამეცნიერო-კვლევითიპროცესისმიმდინარეობის,
აკადემიურიპერსონალისადამასწავლებელთაკვალიფიკაციისხარისხისშეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით და უნივერსიტეტისშესაბამისსამსახურთანთანამშრომლობით მონაწილეობს
ფაკულტეტზესასწავლოდასამეცნიერომუშაობისშეფასებისგამჭვირვალეკრიტერიუმების, მათირეალიზებისა და განხორციელების კონტროლის მეთოდოლოგიისსრულყოფაში. ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის

| |
|---|
| შემდგომი განვითარებისთვის და პერმანენტულად აცნობს სასწავლო დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს. აღნიშნული კომისიის მიერ შეფასებული იქნა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგიები“ განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობები და გამოტანილი იქნა დასკვნები.<br>მონიტორინგის მიზნით პროგრამის სრულყოფისათვის კარგი იქნებოდა პროგრამის შეფასება მოეხდინა ამავე ან მონათესავე დარგის შესაბამის პაქტიკოს სპეციალისტს, რომელიც მოაწილეობას არ ღებულობს მოწოდებული პროგრამის განხორციელებაში. მიგვაჩნია რომ ასეთი დასკვნა უფრო შეუწყობს ხელს პროგრამით დასახული პრაქტიკული უნარების განვითარებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>➢ სტუდენტების კითხვარები.<br>➢ დამსაქმებლებთან შეხვედრის ოქმები.<br>➢ სტუდენტების წინადადებები<br>➢ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების მონიტორინგის ოქმები |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასურველია პროგრამის შეფასება ამავე ან მონათესავე დარგის შესაბამის პაქტიკოს სპეციალისტის მიერ, რომელიც მონაწილეობას არ ღებულობს მოწოდებული პროგრამის განხორციელებაში. მიგვაჩნია რომ ასეთი დასკვნა უფრო შეუწყობს ხელს პროგრამით დასახული პრაქტიკული უნარების განვითარებას. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ං გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | | | |

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სასურსათო ტექნოლოგია - მაგისტრატურა
დასკვნის გვერდების რაოდენობა:   37 გვერდი
პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვისების შეფასების ადეკვატურობა | | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა    მურად გარუჩავა  :

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა  მანანა კევლიშვილი : 

სახელი, გვარი, ხელმოწერა   ნატალია ცქიტიშვილი    : 

სახელი, გვარი, ხელმოწერა   ნატალია ჯინჭარაძე   : 